

განათლება

ენობრივი უნარ-ჩვევების (წერა, კითხვა, მოსმენა) როლი ლაპარაკის უნარ-ჩვევის სწავლა/სწავლებაში

ტატა გულა

gulua.tata@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2024.2.24.19>

ნაშრომში წარმოდგენილია სამიზნე ენაზე ლაპარაკის უნარ-ჩვევის სწავლა/სწავლების პროცესის თეორიული მიმოხილვა. მასში განხილულია ქართველი და უცხოელი მეცნიერების მოსაზრებები იმის შესახებ, რა განაპირობებს ღერძისიკური მარაგის გამდიდრებას, გრამატიკული სტრუქტურების გამართულად გამოყენებას და ენის მატარებლის გამოთქმასთან მაქსიმალურად მიახლოებული ჟღერადობას ლაპარაკის უნარ-ჩვევის სწავლა/სწავლების პროცესში. მსჯელობის საფუძველზე კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ ლაპარაკის უნარ-ჩვევის სწავლა/სწავლების პროცესზე უდავო გავლენა აქვს ენის დანარჩენი ფუნდამენტური უნარ-ჩვევების (წერა, კითხვა, მოსმენა) განვითარებას უცხოურ ენაზე ლაპარაკის უნარ-ჩვევის დაუფლებისთვის.

საკვანძო სიტყვები: უცხოური ენა, ენის უნარ-ჩვევები, უცხოური ენის სწავლა/სწავლება, ლაპარაკის უნარ-ჩვევა.

მსოფლიოს დღევანდელი რეალობით შექმნილი პირობები ერთმნიშვნელოვნად აქტუალურს ხდის მინიმუმ ერთი უცხოური ენის ფლობას. ეფექტური კომუნიკაცია სათავეს იღებს შესაბამის დონეზე განვითარებული ენის უნარ-ჩვევებიდან. ინდივიდები ურთიერთობებს ერთმანეთს შორის როგორც ზეპირი ფორმით, ასევე წერილობით. თვალსაჩინოა, რომ ზეპირი ფორმით კომუნიკაციის ინტენსივობა დიდია. ადამიანებს შორის ურთიერთვავშირის დამყარების პროცესში „ლაპარაკის უნარზე“ არჯერ უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე ერთად აღებული წერის და კითხვის უნარი“ (Leong, Ahmadi 2017: 35). მეცნიერების ეს მოსაზრება ხაზს უსვამს პიროვნების მიერ ამა თუ იმ ენაზე ლაპარაკის უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარების აუცილებლობას. უცხოური ენის სწავლა-სწავლების პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია მოსწავლემ შეძლოს ზეპირი კომუნიკაციის დამყარება სამიზნე ენაზე. სწორედ მოსაუბრესთან გამართული დიალოგი მიუთითებს სამიზნე ენის ფლობაზე.

აპარი ფერვეტლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოაშვი, 2024, №2(24)

უცხოური ენის სწავლა/სწავლების მეთოდურ სახელმძღვანელოებში ასახული თეორიული მასალის მიხედვით განასხვავებენ ენის ოთხ ძირითად კომპონენტს; ესენია: წერა, კითხვა, მოსმენა და ლაპარაკი. მეცნიერები თანხმდებან უცხოური ენის სწავლა/სწავლების პროცესში თითოეული ამ კომპონენტის უდავოდ შეუცვლელ მნიშვნელობაზე. ენის ეს ფუნდამენტური უნარ-ჩვევები იყოფა ორ ტიპად: რეცეფციული, რომელიც წარმოდგენილია კითხვის და მოსმენის უნარ-ჩვევებით (პიროვნების მიერ ინფორმაციის მიღების/რეცეფციის პროცესი) და პროდუქტიული - წერა და ლაპარაკის უნარ-ჩვევები (პიროვნების მიერ ინფორმაციის გაცემის პროცესი) (Harmer 2007: 265). აღსანიშნავია, რომ ვერბალური დიალოგის ხვა უნარებთან ერთად მონაწილეებისაგან მოითხოვს ურთიერთობისათვის შერჩეულ ენაზე როგორც ლაპარაკის ასევე სხვა უნარ-ჩვევების ფლობას. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ უცხოურ ენაზე ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარებისათვის მნიშვნელოვან და სწავლა/სწავლების პროცესზე უდავო გავლენის მქონე ენის დანარჩენ უნარ-ჩვევებს, იქნება ეს წერა, კითხვა თუ მოსმენა, და მათ გავლენას ლაპარაკის უნარ-ჩვევის სწავლის პროცესზე. ასევე შევეხებით თანამედროვე მეთოდების და მიდგომების პრაქტიკაში გამოყენების აუცილებლობას.

ლაპარაკის უნარიერთ-ერთია ენის ოთხი კომპონენტიდან. მიუწედავად იმისა, რომ მეცნიერები ენის კომპონენტებს თამამად განასხვავებენ ერთმანეთისაგან, აღიარებული ფაქტია, რომ ყოველი მათგანი მჭიდრო კავშირშია დანარჩენთან; უფრომეტიც, ერთიხშირად განაპირობებს მეორეს. თანამედროვე მიდგომები მიუდმივად „ორიენტირებულიარიანსამეტყველო უნარ-ჩვევების არა იზოლირებულად, არამედ ინტეგრირებულად მიწოდებაზე, რადგანაც კომუნიკაციაში ეს ელემენტები არა ცალ-ცალკე, არამედ ერთ კომპლექსურ მთლიანობად გამოიყენება. კომუნიკაციაში ყველა ელემენტი მონაწილეობს, ამიტომ მათი ერთმანეთისაგან განცალკევებულად სწავლება არ არის მართებული“ (შავერდაშვილი 2014: 69). სწორედ ამიტომ, ენის სწავლა/სწავლების თანამედროვე გაკვეთილი არასდროს არის ორიენტირებული რომელიმე ერთი უნარ-ჩვევის გამომუშავებაზე. თითოეული მათგანი წარმოადგენს უამრავი ნიუანსის გათვალისწინებით შედგენილ კომპლექსურ სამუშაო პროცესს, რომლის დაგეგმვისას მასწავლებელი, როგორც მინიმუმ, აწყვილებს ენის კომპონენტებს, რაც გულისხმობს, მაგალითად, კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული სავარჯიშოების ბლოკზე მუშაობის პროცესში ლაპარაკის უნარ-ჩვევის განმავითარებელი სავარჯიშოების ჩართვას. ასეთია ტექსტის წინარე, გაკვეთილის თემიდან გამომდინარე ან ტექსტთან მიმართებით წავითხვის შემდგომ წარმოდგენილ კითხვებზე

ტ. გულუა

პასუხის გაცემა. ზემოაღნიშნული პრაქტიკა წარმოადგენს კითხვის სავარჯიშოების (ინგლ. reading) ბლოში შეზავებულ ლაპარაკის (ინგლ. speaking) უნარ-ჩვევების განმავითარებელი სამუშაოს ჩართვას. ენის კომპონენტების ნებისმიერი მსგავსი თანადროული დამუშავების შემთხვევაში, ყოველთვის იკვეთება კონკრეტულ აკადემიურ საათზე დასამუშავებელი ერთი პრიორიტეტული კომპონენტი. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ სიტუაცია, როდესაც ლაპარაკის უნარ-ჩვევების განმავითარებელ აქტივობას, ეგრე წოდებულ მინორში, ემატება კითხვის კომპონენტი, რომელსაც ითვალისწინებს აქტივობის ინსტრუქციით გათვალისწინებული შეკითხვების ან სიტუაციის წაკითხვა.

მაგალითისთვის განვიხილოთ მერვე კლასის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების ბლოკი. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს სამი სავარჯიშოს შესრულებას (F, G, H) (ჯაფარიძე 2020: 52). F-სავარჯიშოს ფარგლებში მოსმენილი დიალოგის შინაარსის გათვალისწინებით მოსწავლეები უთითებენ მოცემული მოსაზრებებიდან რომელი არის ჭეშმარიტი ან მცდარი. G-სავარჯიშოში მოსწავლეები კვლავ მუშაობენ მოსმენილი მასალის შინაარსზე; ისინი განსაზღვრავენ თუ ვის, სელიას თუ სარას, ახასიათებთ აღნიშნული თვისებები. ჩვენს შემთხვევაში მეტად საინტერესო გახლავთ მესამე, H-სავარჯიშოს პირობა, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ კითხვას: ვინ არის უკეთესი მეგობარი? მათ ასევე უნდა დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრება. ეს სავარჯიშო მოსმენილ მასალაზე დაყრდნობით ლაპარაკის უნარის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობაა. ასე დაგეგმილი სამუშაო პროცესი სხვა არაფერია, თუ არა უცხოური ენის სწავლა-სწავლების პრაქტიკაში კომპონენტების დაწყვილება.

უცხოური ენის შემსწავლელ პირს უწევს ახალი სიტყვების გათავისება, სამიზნე ენის გრამატიკის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავება დაროგორცცალკეულისიტყვებისსწორადგამოთქმა, ასევეწინადადებებში შესაბამისი ინტონაციის გამოყენება. სწორედ ამას გულისხმობს პენი ური, როდესაც საუბრობს ლექსიკური მარაგის, გრამატიკული სტრუქტურების და გამოთქმის სწავლების მნიშვნელობაზე (Ur 1991: 46). სიტყვების მარაგის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ლიუისიც, რომელიც ამბობს, რომ მოსწავლე ვერ გამოიყენებს ვერც მოსმენის ან კითხვის, ლაპარაკის თუ წერის უნარ-ჩვევებს ენის კოდების ანუ სიტყვების გარეშე (Lewis 1997: 204). თვალსაჩინოა, რომ ენობრივი უნარები ავითარებენ ერთი მეორეს, თუმცა აუცილებლად მიმაჩინა დავფიქრდეთ, თუ რა როლი აქვს ამ ურთიერთვავშირს არა მხოლოდ თეორიულ დონეზე, არამედ პრაქტიკულ

აპარატულის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოაზვ, 2024, №2(24)

სწავლებაშიც. მაგალითისთვის, სწავლა/სწავლების შედეგად მოსწავლემ ტექსტში არსებული გრამატიკული სტრუქტურების და ლექსიკის დასწავლის გარდა აუცილებლად უნდა მიიღოს მათი პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილებაც. სხვა შემთხვევაში შეძენილი ცოდნა პასიური და გამოუსადეგარი აღმოჩნდება. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ უცხოური ენის სწავლა/სწავლების პროცესის მიზანი არა მხოლოდ უნარების გადმოცემაა, არამედ მათი პრაქტიკაში გამოყენების რეალური შესაძლებლობის უზრუნველყოფაც. ამისათვის აუცილებლად მიგვაჩნია საგაკვეთილო პრაქტიკაში ისეთი მიდგომების და მეთოდების დანერგვა, რომლებიც მოსწავლეს მისცემს საშუალებას გაკვეთილზე უფრო ინტეგრირებულად გამოიყენოს ნასწავლი ლექსიკა და გრამატიკული სტრუქტურები სხვადასხვა კონტექსტში.

ერთ-ერთ ასეთ მეთოდს წარმოადგენს ენის ინტერაქტიური სწავლება, რომელიც იძლევა გრამატიკული სტრუქტურების და ახალი ლექსიკის კონტექსტიდან სწავლის საშუალებას. ამ მეთოდით სწავლების ფარგლებში მოსწავლეები ეცნობიან ავთენტურ მასალას და აღმოაჩენენ მათვის ჯერ კიდევ უცნობ გრამატიკულ სტრუქტურებს, ლექსიკურ ერთეულებს და მათი გამოყენების თვალსაჩინო მაგალითებს. იგივე მეთოდი ითვალისწინებს მოსწავლეებისათვის როლური თამაშების, პრეზენტირების და სხვა ტიპის სავარჯიშოების შესრულებას. თითოეული მათგანის სწორად და ორგანიზება საშუალებას იძლევა ახალი გრამატიკული სტრუქტურების, სიტყვების თუ ფრაზების მიზანმიმართულ გამოყენებას რეალური საჭიროებებისთვის.

არც თუ იშვიათად მინიმალური ლექსიკური მარაგიც კი საკმარისია, რათა მოსწავლემ განავითაროს კომუნიკაციის უნარი, თუ მას მიეცემა შესაძლებლობა უფრო ხშირად ჩაერთოს რეალურ დიალოგში. უდავოა, რომ ლექსიკური მარაგის გამდიდრება მნიშვნელოვანი და შეუცვლელია, მაგრამ ამ მარაგის ინტერაქტიური გამოყენება ეხმარება შემსწავლელს გაცილებით უკეთესი შედეგი და დოს უცხოურ ენაზე ლაპარაკის ასპექტში, ვიდრე იგივე ლექსიკის მხოლოდ წერით სავარჯიშოებში გამოყენებით ან თუნდაც მზა წინადადებების თარგმანის შესრულებით. მაგალითად მოვიყვანოთ მერვე კლასის სახელმძღვანელოს ერთ-ერთი გაკვეთილი (ჯაფარიძე 2020: 128-131). სამუშაო მასალის ერთ-ერთი მიზანია ზაფხულში დაგეგმილ აქტივობებთან დაკავშირებული ლექსიკის დასწავლა და ახალი გრამატიკული სტრუქტურების დამუშავება. გაკვეთილის ფარგლებში მოსწავლეები ეცნობიან ეცნობიან ახალ მასალებს, ასრულებენ წერით და მოსმენით სავარჯიშოებს. გაკვეთილის ბოლოს მათ ეძღვევათ H-სავარჯიშო, რომელიც ითვალისწინებს მოცემული ერთეულების გამოყენებით

ტ. გულუა

შეკითხვების წერით შედგენას და ამავე კითხვებზე ზეპირი პასუხების გაცემას. ვთვლი, რომ ეს სავარჯიშო განსაკუთრებით ყურადსაღებია, რადგან იგი იძლევა დასწავლილი ლექსიკის და გრამატიკული სტრუქტურების მოსწავლეების მიერ ნააზრევ რეალურ პასუხებში ანუ პრაქტიკაში გამოყენებას.

თუმცა ცალსახად მიგვაჩნია, რომ დიდი ოდენობით ლექსიკის ათვისება არ ხდება ძალისხმევის გარეშე. არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მდიდარ ლექსიკურ მარაგს **კითხვა** აყალიბებს. ეს ორი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და, უფრო მეტიც, პირველის უნარის გამომუშავება ხელს უწყობს მეორეს. კითხვა არ არის მარტო სიტყვების და მზა გამონათქვამების წყარო. არა ერთ მნიშვნელოვან უნართან ერთად იგი ძლიერ ავითარებს ინტუიციას. ინტუიცია მოსწავლეს ეხმარება ამა თუ იმ კონტექსტში ენის უცნობი ერთეულის სავარაუდო მნიშვნელობის მიგნებაში. კითხვის შედეგად ლექსიკური მარაგის გამდიდრება მოსაუბრის მიერ სათქმელის გამართულად მიწოდების უნარ-ჩვევაზე ახდენს გავლენას. ხოლო, კითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია აფართოებს და აღრმავებს მოსწავლის ინფორმირებულობას, რაც თავისთავად დადებითად აისახება მოსწავლის ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევაზეც.

ლაპარაკის უნარ-ჩვევაზე ვერ ვისაუბრებთ ამ მოვლენის ლოგიკურ სქემაშიგარკვევისგარეშე. საუბარიშედგებასამიმირითადიელემენტისაგან: მოსაუბრე (ინგლ. speaker), მსმენელი (ინგლ. listener) და გამონათქვამი (ინგლ. utterances). აქედან მოსაუბრე არის პიროვნება რომელიც ლაპარაკობს, ანუ გამოთქვამს აზრს ან/და უზიარებს მსმენელს საკუთარ ემოციას; პიროვნებას, რომელიც ისმენს მოსაუბრის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეწოდება მსმენელი; ხოლო, გამონათქვამი - შინაარსის მატარებელი სიტყვები თუ წინადადებები - რომელსაც მესიჯის სახით მოსაუბრე აწვდის მსმენელს (Humphreys-Jones 1986:44). შესაბამისად, ზეპირ კომუნიკაციაში ჩართული პიროვნება უნდა ფლობდეს როგორც ლაპარაკის ასევე **მოსმენის** უნარ-ჩვევებს. აღსანიშნავია, რომ მოსმენა გულისხმობს არა უბრალოდ ბგერების გაგონების ფიზიოლოგიური უნარის გამოყენებას, არამედ გაუდერებულის შინაარსის გაგონებას და გაეგებას. ლაპარაკის და მოსმენის უნარ-ჩვევების გამოყენების მთავარ მიზანს წარმოადგენს ადამიანებს შორის კომუნიკაციის დამყარების აუცილებლობა. ზეპირი კომუნიკაცია არის ორმხრივი პროცესი, რომელიც ხორციელდება მოსაუბრესა და მსმენელს შორის. ერთის მხრივ ეს არის რეცეფციული ტიპის ქმედება (მოსმენა, ინგლ. listening), მეორე მხრივ - პროდუქტიული ქმედება (ლაპარაკი, ინლგ. speaking) (Byrn 1984: 8).

აპარი ფერმოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოაზვ, 2024, №2(24)

აღნიშნული მოწმობს, რომ აუცილებელია მსმენელი ჩასწვდეს სიტყვების მნიშვნელობას და საბოლოოდ განახორციელოს მათი ინტერპრეტაცია. ეს პროცესი თავის მხრივ საჭიროებს შემდეგ ქმედებებს: ენობრივი ერთეულების ცნობა, საუბრის სეგმენტირება და ინფორმაციის დაჯგუფება, ყურადღება, მეხსიერება, პროგნოზირება, შინაარსის ვარაუდი, ანალიზი და მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია (Harrough 2022: 57-58). მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოსაუბრის მიერ გაუდერებული ინფორმაცია, მოსაზრება თუ იდეა მიეწოდა ადრესატს. შესაბამისად, თითოეული მოსაუბრე ამავდროულად არის მსმენელიც, ხოლო ყოველი მსმენელი წარმოადგენს მოსაუბრეს (Torky 2006: 14).

უცხოური ენის სწავლა/სწავლების დროს მოსმენის უნარ-ჩვევა წარმოგვიდგება სამიზნე ენის ელემენტების (სიტყვების სწორი გამოთქმა, ლექსიკური მარაგი, ინტონაცია, ინტერვალები) გამართულად შეთვისების ერთგვარ ინსტრუმენტად, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მოსმენა დიდ ზეგავლენას ახდენს მოსწავლის მიერ ენის საშუალებების სწავლა/სწავლებაზე. გამომდინარე აქედან იქმნება ლაპარაკის უნარ-ჩვევის სწავლა/სწავლების მიზნით მოსმენის უნარ-ჩვევის უწყვეტად, თანადროულად ჩართვის აუცილებლობა.

თითოეულ ადამიანს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი ლაპარაკის მანერა, კილო, ტემბრი და ხასიათი. ამას ემატება სხვადასხვარეგიონისთვის თუ სოციალური ჯგუფისთვის დამახასიათებელი მეტყველება, რაც კიდევ უფრო ართულებს ენის შემსწავლელთა მიერ მოსმენილი მასალის აღქმას. სწორედ ამიტომ, აუცილებელია მასწავლებელმა უზრუნველყოს მოსწავლეები მრავალფეროვანი მოსასმენი მასალით. ჩვენ უკვე განვიხილეთ ინტერაქტიური სწავლების მეთოდის თვის დამახასიათებელი სავარჯიშოების დადებითი გავლენა გრამატიკული სტრუქტურების, ლექსიკური მარაგის გაუმჯობესების მიზნით. აღწერილის შინაარსიდან გამომდინარე, მეთოდი თავისთავად ითვალისწინებს ლაპარაკის უნარის აქტიურად გამოყენებას. ეს უკანასკნელი ხელს უწყობს მოსწავლეებს და მასწავლებელს შორის აქტიურ კომუნიკაციას, რაც თავისთავად წარმოადგენს ენის პრაქტიკაში გამოყენებას.

ლაპარაკის უნარ-ჩვევას ხშირად აღარებენ და განიხილავენ **წერის** კომპონენტან ერთად. ორივე მათგანი ენის ფუნდამენტური პროდუქტიული ტიპის კომპონენტია; ორივე გულისხმობს ნააზრევის დამოუკიდებლად გადაცემის უნარს მათ მიერ შერჩეული ენის კოდების გამოყენების საშუალებით. თუმცა პირველი ძლიერ განსხვავდება მეორისაგან, როგორც სწავლა/სწავლების გზით, ასევე გამოყენების

ტ. გულუა

პრინციპით. ლაპარაკი არის შინაარსის გადაცემის ინტერაქტიური პროცესი, რომელიც ითვალისწინებს ენის საშუალებებით (ბგერბი, სიტყვები, ფრაზები) გარკვეული მოსაზრების ექსპრესიას და აღქმას. ამ ქმედებას თან ახლავს არავერბალური ენის ნიშნები, სხეულის ენა, თვალით კონტაქტი, სახის გამომეტყველება, ხმის ტონალობის და ტემპის შეცვლა (Thornbury 2005: 9). ჩამოთვლილი თვისებებიდან თითოეული სხვადასხვა ზეგავლენას ახდენს ლაპარაკის მსვლელობაზე და, ამავდროულად მკვეთრად განასხვავებს მას წერის უნარ-ჩვევისაგან. ბრიტანელი ლინგვისტის, რობერტ ჰენრი რობინსის აზრით ლაპარაკი და წერა „ენაზე მეტყველების ორი საშუალებაა“ (Robins 2000: 95). რაც გულისხმობს იმას, რომ ლაპარაკის და წერის უნარ-ჩვევა ერთმანეთისაგან სამიზნე ენის გამოყენების ორი რადიკალურად განსხვავებული ფორმაა. აქედან წერა წარმოადგენს ურთიერთდამოკიდებული ოპერაციების კომპლექსურ პროცესს, რომელიც ითვალისწინებს სიტყვების, წინადადებების და შედეგად მოსაზრების ვიზუალურად ასახვას ასობგერების ფონეტიკური სტრუქტურის გათვალისწინებით. წერის უნარ-ჩვევას მოსწავლე იძენს მიზანმიმართულად შესაბამისი შრომის შედეგად. ხოლო, ლაპარაკის უნარ-ჩვევის სწავლა/სწავლების პროცესი შესაძლოა შედგეს უნებლიერ, ყოველგვარი წინასწარი ფორმალური ინსტრუქციის გარეშე.

კიდევ ერთი მეცნიერ-მკვლევარი, ბიგეითი ხაზს უსვამს ლაპარაკისთვის დამახასიათებელი მოკლე პაუზების და შესაძლო წყვეტების, ფრაზების და ცალკეული სიტყვების გამეორების არსებობას (Nunan 2001:18). გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ვერბალურ კომუნიკაციას ახასიათებს შორისდებულების, ჩვენებითი ნაცვალსახელების, შეძახილების და სხვა მოკლე ლექსიკური ელემენტების გამოყენება. ზემოაღნიშნული ელემენტების გამოყენება ზეპირ კომუნიკაციაში მნიშვნელოვნად ზრდის ინფორმაციის გაზიარების სიჩქარეს. ვერბალური კომუნიკაციის ეს თვისებები ხაზს უსვამენ რადიკალურ განსხვავებას წერითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაციებს შორის, რადგან მსგავსი ლექსიკური ერთეულები არ გვხვდება წერის დისკურსში.

წერის და ლაპარაკის უნარ-ჩვევებს შორის განსხვავებებზე საკუთარ ნაშრომში „კვლევისგამოყენებაენისპროგრამებში“ (“Usingsurveysinlanguage programs”) საუბრობს ბრაუნიც. მეცნიერი ემხრობა რა იმ მოსაზრებას, რომ ეს ორი უნარ-ჩვევა ძლიერ განსხვავდება ერთი მეორისაგან ინფორმაციის მიწოდების ფორმით, აღქმის შესაძლო დოზით, ინფორმაციის მიწოდების და საბოლოო აღქმის პროცესის ხანგრძლივობით, საპასუხო რეაქციის შესაძლებლობით და, ხშირ შემთხვევაში, ენის სტილითაც

აკადი ფერმოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოაზვ, 2024, №2(24)

კი. ასე მაგალითად, მსმენელი ინფორმაციას უფრო სწრაფად აღიქვამს და აქვს დაუყოვნებლივ რეაქციის დაფიქსირების და მოსაუბრისაგან პასუხის უმოკლეს დროში მიღების შესაძლებლობა. ხოლო მკითხველს თავის, მხრივ გააჩნია საშუალება ხელახლა დაუბრუნდეს წერილობით მიწოდებულ ინფორმაციას, გადაიკითხოს და გაიაზროს იგი; მას ამისთვის გააჩნია შედარებით მეტი დრო, ვიდრე ზეპირად გამართული დიალოგის პროცესში. წერისაგან განსხვავებით, ლაპარაკის დროს ადამიანი იყენებს შედარებით უფრო არაფორმალურ ენას, ვიდრე ეს ხდება წერითი კომუნიკაციის შემთხვევაში. ასევე, წერის დროს გამოიყენება უფრო გრძელი წინადადებები, გრაფემები/სასვენი ნიშნები, დიაგრამები, გამოსახულებები და სხვა მსგავსი საშუალებები. რაც შეეხება ლაპარაკს, მისთვის, პირიქით დამახასიათებელია უფრო მოკლე წინადადებები (Brown 2001: 301-306).

ლაპარაკის და წერის განსხვავებული თვისებების მიუხედავად, ამ უკანასკნელის პრაქტიკაში ხშირად გამოყენება ძლიერ ავითარებს აზრის ლოგიკურად სტრუქტურირების უნარს; აუმჯობესებს მოსაზრების ინტერპრეტირების ტექნიკას. რადგან წერით ფორმა ავტორისაგან მოითხოვს განცდის (სიხარული, სევდა, მღელვარება) და/ან სხვა ემოციის თუ სხვა გრძნობების სიტყვების საშუალებით გადმოცემას, თავისთავად დგება ლექსიკური მარაგის გამდიდრების აუცილებლობა. ზემოთ მოყვანილი წერითი კომუნიკაციისთვის ნიშანდობლივი ეს უნარები პირდაპირ კავშირშია ლაპარაკის უნარ-ჩვევის გაუმჯობესების საკითხთან, რაც მოწმობს ენის ამ ფუნდამენტური უნარ-ჩვევის პოზიტიურ გავლენას ლაპარაკის უნარ-ჩვევის სწავლა/სწავლების პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უცხოური ენის სწავლა/ სწავლების პროცესი საჭიროებს სრულყოფილი ინტეგრირებული მოდელების შემუშავებას, სადაც კითხვა, მოსმენა, წერა და ლაპარაკი წარმოადგენს არა მხოლოდ ცალკეული ფუნქციის მქონე კომპონენტს, არამედ თითოეული მათგანისთვის საჭირო უნარ-ჩვევები გავლენას ახდენენ და ეხმარებიან სხვა უნარ-ჩვევების და, შესაბამისად ენის კომპონენტების განვითარებას; განსაკუთრებით დიდი როლი ამ შემთხვევაში ენიჭება მოსმენის უნარ-ჩვევას, რადგან ეს უკანასკნელი წარმოადგენს საუბრის პროცესის ერთ-ერთ აუცილებელ შემადგენელ ნაწილს; ენის სწავლა-სწავლების პროცესში ლაპარაკის უნარ-ჩვევის სხვა კომპონენტებთან ინტეგრირებული სწავლების მიზნით სასურველია მასწავლებელმა დანერგოს სწავლების თანამედროვე ინტერაქტიური მეთოდი; ლაპარაკის კომპონენტის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით აუცილებელია შემსწავლელს მიეცეს ენის პრაქტიკაში გამოყენების საშუალება; ლაპარაკის სწავლის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება

ტ. გულუა

უნდა გამახვილდეს მნიშვნელოვანია საუბრის კომპეტენციის ელემენტების გათვალისწინება; ცალსახად სწორია რომ, მოსწავლის მეტყველება უცხოურ ენაზე ვერ იქნება გამართული და შესაბამისად ეფექტური ენის დანარჩენი სამი საბაზისო უნარ-ჩვევის პარალელურად განვითარების გარეშე; ლაპარაკის უნარ-ჩვევების სწავლა-სწავლების ეფექტიანობა უდავოდ და მუდამ დამოვიდებულია არა მხოლოდ უცხოური ენის გაკვეთილზე ენის ცალკეული კომპონენტების უნარ-ჩვევების განვითარებაზე, არამედ მათ კომპლექსურად გაუმჯობესებაზე.

ლიტერატურა

- შავერდაშვილი, ე. 2014. *უცხოური ენების საფუძვლები*. ნაწ. I., თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ჯაფარიძე, თ. 2020. *New Building Bridges 8 , Student's book*. თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა.
- Brown, J.D. 2001. *Using surveys in language programs*. Cambridge, UK: Cambridge University Press.
- Byrne, D. 1984. *Teaching Oral English*. London: Longman.
- Harmer, J. 2007. *How to teach English*. England: Longman.
- Harrough, D. 1997. *Developing the Speaking Skill in English as a Foreign Language through Project-Based Learning . The Case of Second Year Students of English Language at Batna 2 University*. PhD diss., Université de Batna 2., 2021-2022). <http://eprints.univ-batna2.dz/>
- Humphrey-Jones, C. 1986. *The Art of Listening. Resolving Misunderstandings*. Edited by McGregor, Graham. R.S. White. 43-55. Great Britain: Routledge. eBook ISBN 9781315670461
- Leong, L., M. Ahmad S. M. 2017. „An Analysis of Factors Influencing Learners' English Speaking Skills“. Iran, Rasht: University of Guilan, Vol. 2, I.1. IJREE, 2(1), 2017: 34-41 <http://dx.doi.org/10.18869/acadpub.ijree.2.1.34>
- Lewis, M. 1997. *The Lexical Approach. Language*. England: Teaching Publications.
- Nunan, D. Carter, R. 2001. *The Cambridge Guide to Teaching English to Speakers of Other Languages. Chpter 2. Speaking* by Bygate UK: Cambridge University Press.
- Robins, H. 2000. *General linguistics: An introduction survey* (3rd ed.) London: Longman Group.
- Thornbury, S. 2005. *How to teach speaking*. Essex: Pearson Longman.
- Torky, S.A. 2006. *The Effectiveness of a task-based instruction program in developing the English language speaking skills of secondary stage student* [Doctoral Dissertation]. Ain Shams University.
- Ur, P. 1991. *A Course in Language Teaching. Practice and Theory*. Cambridge: Cambridge University Press.

Education

The Impact of Language Skills (writing, reading, and listening) on Learning Speaking Skills

Tata Gulua

gulua.tata@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2024.2.24.19>

The article provides a theoretical exploration of the teaching process for speaking skills in a foreign language. It explores the priorities outlined by both Georgian and foreign scientists, focusing on the efficient utilization of lexical resources, grammatical structures, and speech fluency throughout the language learning journey. The primary focus is on learning and teaching speaking skills. Furthermore, the study underscores the importance of a thorough understanding of the foundational cognitive processes associated with language skills like writing, reading, and listening to enhance proficiency in speaking a foreign language.

Keywords: foreign language, language skills, language teaching, ESL, speaking.

In today's world, the ability to speak at least one foreign language has become more essential than ever before. It is obvious that speaking skills are the most important due to the high intensity of oral communication in the everyday life. According to the researchers, speaking is the most important skill because it is one of the abilities that is needed to perform a conversation (Leong, Ahmad 2017: 35). Furthermore, a well-structured dialogue seems to indicate the progress of target language learning. This evidence emphasizes the need to acquire speaking skills.

Before we show the significance of speaking and clarify the impact of other skills on the process of learning to speak, it's important to acknowledge that language encompasses four fundamental skills: reading, listening, writing, and speaking. Two of those (listening and reading) skills are receptive. While using receptive skills an individual receives information from a speaker or via reading some printed material. The other two basic skills such as writing and speaking, are considered productive because while using these skills a person actively produces information. He or she can do this in a written way as well as orally (Harmer 2007: 265). After all it can be concluded that speaking is a productive

ტ. გულუა

skill which is used in the process of oral communication; a user of this skill shares information via pronouncing appropriate words in well-constructed sentences.

Although researchers strictly distinguish the four basic language skills, it remains obvious that each of them is closely related to others; moreover, one often leads to the development of another skill. The present approaches “prioritize the acquisition of speaking skills not in an isolated way but in an integrated manner, and the reason is the fact that none of the skills are used separately in a real communication (Shaverdashvili 2014: 69). The modern foreign language lesson is a complicated process focused on developing several skills at a time with a major focus on one of the skills and minor focus on the second.

As we have already mentioned above, it is impossible to speak without vocabulary (lexical units), knowledge of grammar structures, correct pronunciation, and intonation close to the one a native speaker is used to. This is what Penny Ur refers to when she talks about the importance of teaching target language vocabulary, grammar, and pronunciation (Ur 1991: 46). The same idea is shared by Michael Lewis, who tried to explain the crucial necessity of being able to understand and produce not the separate words of the target language but chunks (Lewis 1997: 204). Both authors indicate an essential role of vocabulary, and there are many strategies and techniques to enrich it.

It is evident that student acquires knoledge in relation to one another. However, this interaction should be concerned not only at the theoretical level but also in practical teaching. Therefore, while working on a new text student should not only learn grammar structures or/and enrich the vocabulary but also gein experience in using them in real conversations. This is the reason to implement the aim-oriented up-to-date approaches and methods in classroom practice that will allow students to use all the new material in more integrated ways across different contexts. Using an Interactive Teaching Method can be a good way to achive the goal; role-play, presentations and other types of activities enables students to meet real-world needs. Even students with a minimal vocabulary can can develope their target language speaking skills, provided they are given an opportunity to engage more fluently in real conversations.

However, **reading** authentic materials is widely regarded as the most effective way to acquire new lexical units. Furthermore, there is an opinion that the two, reading and vocabulary, are closely related. Thus, one usually provides the other. In case a learner’s vocabulary is rich, it is easier to understand the text read, and vice versa, reading can provide the learner with new words. Reading is not considered just to be an instrument to enrich learners’ vocabulary, but an excellent way to develop guessing skills and help learners to build background knowledge which has a positive effect on the student’s speaking skills.

It is obvious that we cannot explain the impact of **listening** skill on speaking without clarifying the elements of conversation. The last usually consists of three basic elements. These are: a speaker who produces the information, a listener, who receives the information speaker produces, and utterances, i.e., lexical units (or so-called language codes) used by the speaker to share the information (Humphreys-Jones 1986: 44). It is meaningful to mention that the roles of speaker and listener can change while conversation. A person involved in oral communication is made to use both speaking and listening skills. Thus, conversation is a complex process between speaker and listener where there are used both receptive and productive types of basic skills (Byrne 1984: 8).

It is important to emphasize that listening means to get and realize the meaning of those words output by a speaker. It is not enough just to hear all the sounds a speaker produces. The purpose of speaking and listening skills is the need to establish communication between the speaker and the listener. Due to its complexity, the process of oral communication requires some abilities listed by Harrough in his work: to be attentive while conversation; to be able to remember the message shared by the speaker; to be able to predict the way the conversation will develop; to be able to understand, analyze and interpret the information a person receives (Harrough 2022: 57-58).

There are numerous factors that influence speaking proficiency, however correct pronunciation, intonation, and intervals in the sentences are crucial. In addition to this, the evidence that speaking manner is an extremely individual feature it is essential to get students used to differ them from one another. None of them are possible to be learnt without listening to authentic materials and simulations. Therefore, listening skills can be the ones with a great impact on speaking skills.

Speaking skills are often compared to **writing** skills; both are considered productive which are used to create output lexical units. Despite this feature, first significantly differs from the second. Speaking is an interactive process which cannot be proceeded without sounds, words or phrases. It is usual to use non-verbal cues (eye contact, gestures, body language) and/or change voice while speaking (Thornberry 2005: 9). This evidence effects communication, and totally differs speaking from writing skills. In addition to this, speaking is mostly spontaneous, faster activity, full of pauses, interjections, exclamations, and other types of signs. On the other hand, the information produced in a written form is usually organized in paragraphs and/or phrases and sentences. The person who writes something has no chance to express his or her idea without using words. Thus, to have good writing skills at a level one needs to be able to use appropriate

ଓ. ৪ৰণৰা

vocabulary, grammar, and other skills such as organizing ideas logically, analyzing information, etc., which provide evidence to conclude that good writing skills lead to better speaking skill.

After having compared all four basic language skills, it is evident that speaking is learned not in an isolated way but it is a complex learning process. We highlight the key role of listening due to its biggest impact on speaking skills; verbal communication is not possible without pronouncing sounds, words, phrases, sentences, getting the meaning of spoken; doing listening tasks can help learners to sound more native-like. Furthermore, listening is another source of new vocabulary to be learned by students. It is undeniable that another source of new lexical units and grammar structures is reading – clear way to develop speaking. The ability to write clearly and concisely is key to better speaking skills since writing activities are an excellent way to think more logically and critically. It is verified that all the four basic skills are closely interconnected, and proficiency in each is necessary for effective language communication. In order to develop speaking skills, it is essential to provide the learner with opportunities to use the language in practice. For the integrated development of speaking and other three skills of the target language, it is desirable for the teacher to introduce modern interactive teaching methods. Attention should be paid to the integrated development of intellectual and emotional components in the process of learning speaking skills. It is important to consider the elements of speaking competence. The effectiveness of teaching speaking skills undoubtedly and always depends not only on the approaches and methods used in the classroom but also on the acquisition and improvement of the skills of the other components of language.